კლაუზევიცის მოძღვრების ფილოსოფიური პრინციპები და ასპექტები

ირაკლი ბათიაშვილი
ევროპის უნივერსიტეტის
აფილირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ჩემს ამოცანას შეადგენს კლაუზევიცის სახელგანთქმული შრომის - ,,ომის შესახებ" - გარკვეული ფილოსოფიური პრინციპების, ასპექტების ანალიზი და იმ ვითარების ცხადყოფა, რომ ისინი ჩვენს თანადროულ რეალობაში კვლავაც აქტუალურ ხასიათს ატარებენ. წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება ომის ბუნების ანალიზს. ჯერ ისმის ფუნდამენტური კითხვა: რა არის ომი? ლოგიკურად თანმიმდევრული მსჯელობების გაშლა-განვითარების მიზანია განმარტოს თავად ომის ფენომენი. ეს ჯერ იწყება მისი განყენებული ცნების წმინდა ლოგიკური ანალიზით და განსაზღვრით. ასეთი კუთხით ომი სხვა არაფერია, თუ არა ოდენ გაფართოებული ორთაბრძოლა. მის უახლოეს მიზანს შეადგენს მოწინააღმდეგის შემუსვრა, რის შედეგადაც მან უნდა დაკარგოს შემდგომი წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ამგვარად, ომი - ესაა ძალადობის აქტი, რაც დამიზნებულია შემდეგზე: ვაიძულოთ მოწინააღმდეგე, რათა შეასრულოს ჩვენი ნება. ამასთან ერთად საომარ დაპირისპირებაში ერთი მეორეს უწესებს კანონს: სახელდობრ, ორივე დაპირისპირებულმა მხარემ უკიდურესად უნდა დაძაბოს თავისი ძალები, და არ არსებობს რაიმე ზღვარი ამ პროცესისათვის გარდა იმისა, რაც თითოეულმა სუბიექტმა შეიძლება დაუდგინოს თავის თავს გარკვეული შიდა ფაქტორებიდან გამომდინარე. ამგვარად, კლაუზევიცის მიხედვით, თავად ომის ბუნებიდან გამომდინარეობს სწრაფვა ძალადობის გამოყენების უკიდურესი ხარისხისაკენ.

მაგრამ ეს მსჯელობანი ჯერ-ჯერობით დაფარფატებენ განყენებული ცნებების სფეროში და ე.ი. ჩვენ ჯერ-ჯერობით დაკავებულნი ვართ მხოლოდ ომის განყენებული ცნების ლოგიკური ანალიზით. ხოლო როდესაც აბსტრაქტული მსჯელობებიდან გადავდივართ რეალობაზე და მაშასადამე, ომის ფენომენის ანალიზისას უკვე ვითვალისწინებთ რეალურ ფაქტორებს, მაშინ ჩვენს წინაშე ისახება სულ სხვა სურათი: სახელდობრ, სინამდვილეს შემოაქვს ე.წ.ზომიერმყოფი მოქმედების ეფექტი ანუ იგი შემაკავებლად ზემოქმედებს საომარ პროცესზე, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი აღარ მიისწრაფვის უკიდურესობებისაკენ. შემდგომ ავტორი აკონკრეტებს, თუ რაში გამოიხატება რეალობის ე.წ. ზომიერმყოფელი(დამაბალანსებელი) ზემოქმედება და დეტალურად აანალიზებს თითოეულ ფაქტორს. ბოლოს, რეალურ და აბსტრაქტულ-ლოგიკურ განზომილებებში წარმართული მსჯელობების სინთეზის საფუძველზე კეთდება შემდეგი დასკვნა: ომი გვევლინება სამი არსებითი ელემენტის დიალექტიკურ მთლიანობად - პირველი, ესაა, ძალადობა, რაც თავის თავში გულისხმობს სიძულვილის, მტრობის, აგრესიის იმპულსებს და რაც განეკუთვნება ბრმა ბუნებრივი ინსტიქტის სფეროს; მეორე, ესაა, ალბათობების და შემთხვევითობების თამაში, რაც განეკუთვნება თავისუფალი სულიერი მოღვაწეობის სფეროს; და მესამე, ესაა, პოლიტიკის იარაღი, რაც განეკუთვნება წმინდა განსჯის სფეროს. თეორია, რომელიც უგულებელყოფს რომელიმეს ამ სამთაგან, ან კიდევ შეეცდება წარმოგვიდგინოს მათი თვითნებური(არაობიექტური) ურთიერთთანაფარდობა, უთუოდ, მოვა წინააღმდეგობაში ობიექტურ სინამდვილესთან. ამგვარად, მისი ამოცანაა განსაზღვროს და შეინარჩუნოს ობიექტური წონასწორობა(ბალანსი) ამ სამ მომენტს შორის.

რაც უფრო მეტად გრანდიოზულია, ფართო-მასშტაბიანია პოლიტიკური მიზანი და რაც უფრო მეტად ჭარბობს აგრესიული იმპულსები, დაძაბულობა დაპირისპირებული ქვეყნების ხალხებში, მით უფრო ომი უახლოვდება თავის აბსტრაქტულ-ლოგიკურ ბუნებას ანუ თავის იდეას და იღებს გამანადგურებელი შეიარაღებული კონფლიქტის ხასიათს; და პირიქით, რაც უფრო ნაკლებ-მასშტაბურია პოლიტიკური მოტივი და რაც უფრო ნაკლებადაა სახეზე აგრესიული ტენდენციები, მით უფრო შორდება ომი თავის ლოგიკურ არსს და იღებს უფრო დაბალი ინტენსივობის ანუ ნაკლებ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების ხასიათს. აქედან კი გამომდინარეობს ომის სახეების მრავალფეროვანი სპექტრის არსებობა, დაწყებული უკიდურესად მაღალ-ინტენსიური და დამთავრებული უკიდურესად დაბალ-ინტენსიური სამხედრო მოქმედებების ფორმებით - აი, ამ დასკვნამდე მივყავართ ორ განსხვავებულ განზომილებაში წარმოებული ექსპლიკაციების ურთიერთშეჯერებას. ვფიქრობ, რომ კლაუზევიცის მიერ ჩატარებული ეს ბრწყინვალე ანალიზი ომის ფილოსოფიური ასპექტებისა დიდწილად წარუვალი ღირებულების მქონეა და კერძოდ, ზემოთ მითითებული შემაჯამებელი დასკვნები უთუოდ შეინარჩუნებენ თავის აქტუალობას, მნიშვნელობას, ძალას ნებისმიერ არეალსა და ეპოქაში.

საკვანძო სიტყვები:
ძალა, ომის ბუნება, კლაუზევიცის სამება, თანამედროვე ომი

PHILOSOPHICAL PRINCIPLES AND ASPECTS OF CLAUSEWITZ' DOCTRINE

IRAKLI BATIASHVILI
AFFILIATED PROFESSOR
EUROPEAN UNIVERSITY

ABSTRACT

My task is to analyze certain philosophical principles, aspects of Clausewitz's famous work - "On War" and to show the fact that they are still relevant in our contemporary reality. The first part of the book is devoted to the analysis of the nature of war. First we hear the fundamental question: what is war? The goal of logically consistent reasoning is to explain the phenomenon of war itself. It begins with a purely logical analysis and definition of his detached notion. In this respect, war is nothing more than a somewhat expanded warfare. His immediate goal is to defeat the opponent, as a result of which he must lose the ability to further resist. Thus, war is an act of violence aimed at: forcing the adversary to do what we will. At the same time, in a military confrontation, one sets the law for the other: namely, both opposing parties must extremely strain their forces, and there is no limit to this process other certain internal factors. Thus, according to Clausewitz, the very nature of war entails an extreme degree of use of violence.

But these reasonings have so far delved into the realm of dissociated concepts, and e.g. We are so far engaged only in a logical analysis of the notion of war. And when we move from abstract reasoning to reality, and therefore, when analyzing the phenomenon of war, we already take into account the real factors, then we are presented with a completely different picture: namely, it actually brings the effect of so-called moderate action. The author further specifies what is manifested in the so-called reality: moderate (balancing) impact, and analyzes each factor in detail. Finally, based on the synthesis of pagan reasoning in the real and abstract-logical dimensions, the following conclusion is made: War appears as a dialectical whole of three essential elements - first, that is, violence, which implies hatred, enmity, aggression and belonging to the natural; the second is the play of probabilities and coincidences, which belongs to the realm of free spiritual activity; and third, that is, the weapon of politics, which belongs to the realm of pure reasoning. A theory that ignores any of these three, or even attempts to present their arbitrary (non-objective) relationship, will inevitably come into conflict with objective reality. Thus, its task is to determine and maintain an objective balance between these three elements.

The more grandiose, the wider the political goal, and the more aggressive impulses, tensions prevail in the peoples of opposing countries, the closer war comes to its abstract-logical nature or idea and takes on the character of a devastating armed conflict; conversely, the smaller the political motive and the less aggressive the tendencies in the face, the more the war deviates from its logical essence and takes on the character of a lower intensity or less mortal-vital confrontation. Hence, the existence of a diverse spectrum of types of warfare, ranging from extremely high-intensity to extremely low-intensity forms of hostilities - leads to the concurrence of two different dimensions of explication. I think that this brilliant analysis by Clausewitz of the philosophical aspects of war is largely of undeniable value, and in particular, the above conclusions will undoubtedly retain their relevance, significance, power in any area and epoch.

KEYWORDS:
Power, the nature of war, Clausewitzian Trinity, modern warfare

ჩემს ამოცანას შეადგენს კლაუზევიცის სახელგანთქმული შრომის - ,,ომის შესახებ“ - გარკვეული ფილოსოფიური პრინციპების, ასპექტების ანალიზი და იმ ვითარების ცხადყოფა, რომ ისინი ჩვენს თანადროულ რეალობაში კვლავაც აქტუალურ ხასიათს ატარებენ. სანამ შევუდგებით საკუთრივ თემის განხილვას, მსურს შევეხო ამ დიდი მოაზროვნის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან შტრიხებს. კარლ ფილიპ გოტფრიდ ფონ კლაუზევიცი დაიბადა 1780 წლის 1 ივნისს ქალაქ ბურგში(მაგდებურგის მახლობლად). თორმეტი წლის ასაკში იგი მამამ ჩაიყვანა პოტსდამში, სადაც ჩაირიცხა პრუსიის არმიის ერთ-ერთ პოლკში შტანდარტ-იუნკერად. ცამეტი წლის კლაუზევიცი უკვე მონაწილეობს ომში რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ. 1801 წელს იგი შედის პრუსიის სამხედრო აკადემიაში, სადაც სამხედრო თეორიასთან ერთად სწავლობს ისეთ დიდ ფილოსოფოსთა მოძღვრებებს, როგორებიცაა კანტი, ფიხტე, შლაიერმახერი და ა.შ. მცირე ხნის შემდგომ კი იგი მიიქცევს გენერალ გერჰარდ ფონ შარნჰორსტის ყურადღებას, რომელიც ახლო მომავალში პრუსიის არმიის გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნება და გადამწყვეტ როლს ითამაშებს ქვეყნის შეიარაღებული ძალების რეფორმირების საქმეში.

ნაპოლეონის წინააღმდეგ პრუსიის მიერ წარმოებული სამხედრო კამპანიის მსვლელობისას კლაუზევიცი პრინც ავგუსტის ადიუტანტია. იენა-აუერშტედტის ცნობილი ბრძოლის დროს, როდესაც საფრანგეთის ,,გრანდ არმია“ გამანადგურებლად დაამარცხებს პრუსიულ-საქსონურ არმიას, იგი ტყვედ ჩავარდება თავის პრინცთან ერთად და ტყვეობაში იმყოფება საფრანგეთში 1808 წლამდე. პრუსიაში დაბრუნების შემდგომ იგი აქტიურად ერთვება პრუსიის არმიის რეფორმირების საქმეში, როგორც გერჰარდ ფონ შარნჰორსტის რეფორმატორთა ჯგუფის ერთ-ერთი წამყვანი წევრი.

1810 წელს მომავალი დიდი სამხედრო თეორეტიკოსი დაქორწინდა მარი სოფია ფონ ბრიულზე, რომელიც წარმოსდგებოდა არისტოკრატიული ოჯახიდან და იყო უაღრესად განათლებული. თუმცა მალევე საფრანგეთთან ომში დამარცხების შედეგად თავისი სამშობლოს დამცირება-დაკნინებით შეურაცხყოფილმა და შურისძიების გრძნობით გამსჭვალულმა კლაუზევიცმა სამსახური დაიწყო რუსეთის იმპერიის არმიაში, რათა ებრძოლა ნაპოლეონის წინააღმდეგ. მან მონაწილეობა მიიღო ბოროდინოს ბრძოლაშიც. ომის დამთავრების შემდგომ კი 1815 წელს იგი დაინიშნა პრუსიის მესამე საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად.

ასი დღის კამპანიის მსვლელობისას კლაუზევიცი თავის კორპუსთან ერთად იბრძოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ლინისთან და ვავრთან. სწორედ ვავრთან ბრძოლაში მისმა შენაერთმა შეაკავა მარშალ გრუშის არმია და არ მისცა მას საშუალება ფრანგების ძირითად ძალებთან შეერთებისა. აი, ამ ფაქტორმა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა ბრიტანულ-პრუსიული კოალიციის გამარჯვებაში ვატერლოოსთან.

1818 წელს კლაუზევიცს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება და დაინიშნა პრუსიის სამხედრო აკადემიის დირექტორად, სადაც ასწავლიდა თორმეტი წლის განმავლობაში. როდესაც 1831 წელს პოლონელთა აჯანყების ჩასახშობად პრუსიამ დაძრა თავისი ჯარი, იგი დანიშნეს ამ ძალების შტაბის უფროსად ფელდმარშალ ფონ გნეიზენაუს სარდლობის ქვეშ. სწორედ ამ მოვლენების დროს კლაუზევიცი დაავადდა ქოლერის ეპიდემიით და გარდაიცვალა 1831 წლის თექვსმეტ ნოემბერს.

მისი მთავარი ნაშრომი - ,,ომის შესახებ“ - გამოაქვეყნა მარი სოფია ფონ ბრიულმა მეუღლის სიკვდილის შემდგომ 1832 წელს და დროთა განმავლობაში მან უზარმაზარი რეზონანსი გამოიწვია. სწორედ ამ წიგნში ჩამოყალიბებული დასკვნებით ომის ფენომენისა და სამხედრო სტრატეგიის მთელი რიგი პრინციპების შესახებ კლაუზევიცმა დიდი წვლილი შეიტანა სამხედრო თეორიის განვითარების საქმეში.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ჩემს ამოცანას შეადგენს კლაუზევიცის კონცეფციის ზოგად-ფილოსოფიური პრინციპების განხილვა. ამ ნაშრომში - ,,ომის შესახებ“ - ცხადად ჩანს ავტორის განსწავლულობა ფილოსოფიის სფეროში, კერძოდ, შესანიშნავი ცოდნა გერმანული კლასიკური ფილოსოფიისა და აზროვნების დიალექტიკური მეთოდისა. წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება ომის ბუნების ანალიზს. ჯერ ისმის ფუნდამენტური კითხვა: რა არის ომი? ლოგიკურად თანმიმდევრული მსჯელობების გაშლა-განვითარების მიზანია განმარტოს თავად ომის ფენომენი. კლაუზევიცი წიგნის დასაწყისშივე მიუთითებს თუ როგორი ხასიათი ექნება მის მიერ წარმართულ მსჯელობათა დინამიკას: ჩვენ განვიხილავთ საკვლევი საგნის ცალკეულ ელემენტებს, შემდეგ მის ნაწილებს და ბოლოს, საგანს მთლიანობაში, ე.ი. მის შინაგან ურთიერთკავშირში - ამგვარად, ვმოძრაობთ მარტივიდან რთულისაკენ. მაგრამ მეორე მხრივ, საჭიროა წინასწარ გვქონდეს გარკვეული წარმოდგენა მთლიანი საგნის(ე.ი. ომის) არსების შესახებ, რათა გადავიდეთ ნაწილთა და ცალკეულ ასპექტთა განხილვაზე. მაშასადამე, საკვლევი საგნის ადექვატური, სიღრმისეული შემეცნება მოითხოვს თავისებურ წრიულ მოძრაობას აზროვნებაში, სახელდობრ, ნაწილიდან მთელისაკენ და მთელიდან ნაწილისაკენ - აი, ამ მიდგომით კლაუზევიცი გვევლინება თანამედროვე ჰერმენევტიკული მეთოდის(რაც დღესდღეობით უაღრესად პოპულარულია) წინამორბედად.

ომის ფენომენის განმარტება ჯერ იწყება მისი განყენებული ცნების წმინდა ლოგიკური ანალიზით და

განსაზღვრით. ასეთი კუთხით ომი სხვა არაფერია, თუ არა ოდენ გაფართოებული ორთაბრძოლა. მის უახლოეს მიზანს შეადგენს მოწინააღმდეგის შემუსვრა, რის შედეგადაც მან უნდა დაკარგოს შემდგომი წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ამგვარად, **ომი - ესაა ძალადობის აქტი**, რაც დამიზნებულია შემდეგზე: ვაიძულოთ მოწინააღმდეგე, რათა შეასრულოს ჩვენი ნება. აქვე კლაუზევიცი მიუთითებს: ის შეზღუდვები, რომელიც დადებული აქვს ხოლმე ძალადობის ამ აქტს საერთაშორისო სამართლის ნორმების სახით, სინამდვილეში ვერ ასუსტებენ მისი მოქმედების ეფექტს. ომში ფიზიკური ძალადობა წარმოადგენს საშუალებას, ხოლო მიზანი კი - მოწინააღმდეგისთვის საკუთარი ნების მოხვევაა.

ზოგიერთ ფილანტროპს წარმოუდგენია, წერს კლაუზევიცი, თითქოსდა შესაძლებელია ხელოვნურად განსაკუთრებული სისხლისღვრის გარეშე მოწინააღმდეგის განიარაღება-დამარცხება და თითქოსდა სამხედრო ხელოვნება სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. რამდენადაც შეიძლება მომხიბლავია ასეთი შეხედულება, მიუხედავად ამისა, იგი ილუზიაა, რომელიც უნდა განვფანტოთ. დიახ, ომი უაღრესად სახიფათო საქმეა და ყოველგვარი ილუზიები, რომელთა წყაროც ადამიანური გულკეთილობაა, დამღუპველია ამ საქმისთვის. ამიტომაც ის, ვინც ახორციელებს ძალადობის ამ აქტს მორალური შეზღუდვებისა და სისხლისღვრის თავიდან არიდების გარეშე, უზარმაზარ უპირატესობას იღებს მოწინააღმდეგეზე, თუ კი ეს უკანასკნელი იგივეს არ აკეთებს. ამრიგად, საომარ დაპირისპირებაში ერთი მეორეს უწესებს კანონს: სახელდობრ, **ორივე დაპირისპირებულმა მხარემ უკიდურესად უნდა დაძაბოს თავისი ძალები**, და არ არსებობს რაიმე ზღვარი ამ პროცესისათვის გარდა იმისა, რაც თითოეულმა სუბიექტმა შეიძლება დაუდგინოს თავის თავს გარკვეული შიდა ფაქტორებიდან გამომდინარე. ამგვარად, კლაუზევიცის მიხედვით, თავად ომის ბუნებიდან გამომდინარეობს სწრაფვა ძალადობის გამოყენების უკიდურესი ხარისხისაკენ. სწორედ ამიტომაც ომი ვერასდროს იქნება თავისუფალი გრძნობათა სფეროსგან: სიძულვილი, აგრესიულობა, მტრული განწყობა, მოწინააღმდეგის განადგურების სურვილი და ა.შ. - ეს იმპულსები სხვადასხვა ფორმით ყოველთვის მუშაობენ საომარი დაპირისპირების პროცესში, იმისდა მიუხედავად თუ ცივილიზაციური განვითარების რა სტადიაზე იმყოფებიან მისი მონაწილე სუბიექტები.

რაოდენ მცდარია და გულუბრყვილო, რომ შეიარაღებული კონფლიქტი თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებს შორის დავიყვანოთ მათი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის რაღაც მშრალ განსჯისეულ აქტებამდე და ოპერაციებამდე და წარმოვიდგინოთ, თითქოსდა ეს კონფლიქტი უკვე სრულიად თავისუფალია აღნიშნული ,,ბნელი“ იმპულსებისაგან. თუ კი ცივილიზებული ხალხები ომის დროს აღარ კლავენ ტყვეებს, არ აჩანაგებენ სოფლებს და ქალაქებს, ეს ხდება იმიტომ რომ სამხედრო მოქმედებები იღებენ სულ უფრო მეტად რაციონალურ ხასიათს: აქ სულ უფრო მეტად დომინირებს გონება, რომელიც შესაბამისად ირჩევს ძალადობის გამოყენების უფრო ეფექტურ საშუალებებს, ვიდრე ესაა სისასტიკის ველური ფორმები - აღნიშნავს ავტორი. ამგვარად, ომის არსება ყველგან და ყოველთვის უცვლელი რჩება: იგი წარმოადგენს ძალადობის აქტს და მიისწრაფვის ამ ძალადობის გამოყენების უკიდურესი ხარისხისაკენ.

მაგრამ ეს მსჯელობანი ჯერ-ჯერობით დაფარფატებენ განყენებული ცნებების სფეროში და ე.ი. ჩვენ ჯერ-ჯერობით დაკავებულნი ვართ მხოლოდ ომის განყენებული ცნების ლოგიკური ანალიზით, რაც იძლევა ომის აბსოლუტურ, თუმცა აბსტრაქტულ გაგებას - გვეუბნება კლაუზევიცი. დიახ, ყოველივე ამას არავითარი კავშირი არა აქვს რეალურ სინამდვილესთან, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი ზედმეტია. ხოლო როდესაც აბსტრაქტული მსჯელობებიდან გადავდივართ რეალობაზე და მაშასადამე, ომის ფენომენის ანალიზისას უკვე ვითვალისწინებთ რეალურ ფაქტორებს, მაშინ ჩვენს წინაშე ისახება სულ სხვა სურათი: სახელდობრ, სინამდვილეს შემოაქვს ე.წ.ზომიერმყოფი მოქმედების ეფექტი ანუ იგი შემაკავებლად ზემოქმედებს საომარ პროცესზე, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი აღარ მიისწრაფვის უკიდურესობებისაკენ.

შემდგომ ავტორი აკონკრეტებს, თურაში გამოიხატება რეალობის ე.წ. ზომიერმყოფელი (დამაბალანსებელი) ზემოქმედება: უპირველეს ყოვლისა, სინამდვილეში ომი არასდროს გვევლინება რაღაც იზოლირებულ აქტად და შესაბამისად, მისი მონაწილე სუბიექტებიც არ წარმოადგენენ რაღაც განყენებულ სუბიექტებს. ომი არ აღმოცენდება მყისიერად, უეცრად და მისი მომზადებაც არაა რაღაც მყისიერი საქმე. თითოეული სუბიექტის საომარი მზადყოფნა დამოკიდებულია მთელ რიგ რეალურ ფაქტორებზე, რომლებიც ყოველთვის დროში გახანგრძლივებულ პროცესს შეადგენენ. ამიტომაც თითოეული სუბიექტი მეორეზე მსჯელობს არა რაღაც აბსოლუტური განყენებული კრიტერიუმების მიხედვით, არამედ ამ რეალურ ფაქტორებზე საკუთარი ინფორმაციის შესაბამისად. ასეთი ინფორმირებულობა კი ყოველთვის მეტ-ნაკლებად ნაკლოვანია ანუ აღბეჭდილია უზუსტობებით, რაც თავისთავად შემაკავებლად მუშაობს ორივე მხარეზე და სახელდობრ, მათ ბუნებრივ ტენდენციაზე უკიდურესობებისაკენ.

თავად ომიც რეალობაში ყოველთვის წარმოადგენს დროში გაწელილ პროცესს, რომელიც შედგება მთელი რიგი თანმიმდევრული საომარი შეჯახებებისაგან, რის გამოც ყოველი წინამორბედი შეჯახების

აქტი შემდგომისათვის თავისებური საზომია ანუ წინამორბედის შედეგები გარკვეულწილად განსაზღვრავს შემდგომს - აი, ეს მომენტიც გვევლინება, კლაუზევიცის მიხედვით, შემაკავებელ ფაქტორად. ამასთან ერთად, მოწინააღმდეგე მხარეები ერთბაშად ვერასდროს აამოქმედებენ თავიანთ ძალებს სრული შემადგენლობით. ეს ძალებია: საკუთრივ შეიარაღებული ძალები, ქვეყანა(თავისი ლანდშაფტით, ბუნებრივი რესურსებით, მოსახლეობით) და მოკავშირეები. რეალობაში ამ ძალების ამოქმედება-გამოყენება შესაძლებელია, რომ მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში განხორციელდეს, და ეს ვითარებაც, ცხადია, ანელებს დაპირისპირებული მხარეების ბუნებრივ მისწრაფებას საკუთარი ძალების უკიდურესი დაძაბვისაკენ.

რეალობაში ომის შედეგი არასდროს არ წარმოადგენს რაღაც აბსოლუტურ ,,სიდიდეს", ვინაიდან დამარცხებული ქვეყანა უმეტესწილად ამაში ხედავს ხოლმე მხოლოდღა წარმავალ ტრაგედიას, რისი გამოსწორებაც პრინციპში სამომავლოდ შესაძლებელია შედგომი პოლიტიკური ნაბიჯებით და ურთიერთობებით. ცხადია, რომ ეს მომენტიც(ე.ი. ომის შედეგების არა-აბსოლუტური ხასითი) მნიშვნელოვნად ანელებს მოპირისპირე მხარეების ძალისხმევათა დაძაბულობას და ინტენსიურობას - აღნიშნავს კლაუზევიცი.

ყოველივე ზემოთ მითითებული ფაქტორებიდან გამომდინარე, რეალური სინამდვილის ჭრილში წარმართულ განხილვებს მივყავართ ომის პოლიტიკური მიზნის დომინირებისაკენ. როგორც უკვე ვნახეთ, წმინდა აბსტრაქტულ-ლოგიკური ანალიზის დონეზე გამოიკვეთა ე.წ. უკიდურესობის კანონი, რის მიხედვითაც ომის მიზანი მდგომარეობს მოწინააღმდეგის შემუსვრაში და მისი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობის მოსპობაში. მაგრამ რამდენადაც რეალობის მთელი რიგი პირობების გავლენით ეს უკიდურესობის კანონი ძალას კარგავს, ამდენად წინა პლანზე გამოდის ომის პოლიტიკური მიზანი. ამგვარად, ეს უკანასკნელი გვევლინება თავისებურ საზომად, როგორც საკუთრივ სამხედრო მოქმედებათა მიზნებისათვის, ასევე აუცილებელი საომარი ძალისხმევის განსაზღვრისათვის. სახელდობრ, რაც უფრო ნაკლებ-მნიშვნელოვანია და მცირე ,,მასშტაბისაა" პოლიტიკური მიზანი, და შესაბამისად, რაც უფრო ნაკლებ დათმობას და მსხვერპლს მოვითხოვთ ჩვენ მოწინააღმდეგე მხარისგან, მით უფრო ნაკლებ ძალისხმევას და მომზადებას მოითხოვს ასეთი მიზანი ჩვენგან და მით უფრო ნაკლებ წინააღმდეგობასაც განაპირობებს იგი მოწინააღმდეგის მხრიდან. ამასთან ერთად, ეს პოლიტიკური მიზანი უნდა განვიხილოთ არა აბსტრაქტულად, არამედ რეალურ კონტექსტში და ამ თვალსაზრისით, იგი დამოკიდებულია ორი (ან მეტი) სახელმწიფოს ურთიერთობებზე. ასევე პოლიტიკური მიზნის რეალური ქმედუნარიანობა დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს იგი მეომარი ქვეყნების ხალხის მასებზე: მაგალითად, თუ ხალხში ჭარბობს ისეთი ფსიქოლოგიური იმპულსები და განწყობები, რომლებიც დაძაბულობის ზრდას უწყობენ ხელს; თუ კი ხალხი დამუხტულია, ფეთქებადსაშიშია, მაშინ ეს ფაქტორი გაცილებით აძლიერებს პოლიტკური მიზნის მოქმედებას - წერს ავტორი. და აქვე იგი აყალიბებს ძალზედ მნიშვნელოვან დებულებას: ვინაიდან სამხედრო მოქმედებათა მიზანი ექვივალენტური უნდა იყოს პოლიტიკური მიზნისა, ამდენად ამ უკანასკნელის ,,მასშტაბის" შემცირება განაპირობებს სამხედრო მოქმედებათა მიზნის ,,მასშტაბის" შემცირებას და თანაც, მით უფრო, რაც უფრო სრულია პოლიტიკური მიზნის დომინაცია. აი, სწორედ ამით აიხსნება ის ვითარება, რომ მიუხედავად თავისი წმინდა ლოგიკური არსისა ანუ ბუნებისა, ომმა შეიძლება ხორცი შეისხას ინტენსივობის და მნიშვნელობის მეტად მრავალგვაროვან ფორმებში, სახელდობრ, დაწყებული გამანადგურებელი ომით და დამთავრებული მხოლოდღა ობსერვაციული ნაწილების გადაადგილებით.

საომარი დაპირისპირების წმინდა ლოგიკური ანალიზის მიხედვით სამხედრო მოქმედებებს უნდა ჰქონდეთ უწყვეტი ხასიათი, რაც თავის მხრივ უბიძგებს ორივე დაპირისპირებულ მხარეს უკიდურესობებისაკენ. მაგრამ რეალობაში საქმის ვითარება სხვაგვარადაა: ოპერაციები ძალზედ იშვიათად(თითქმის არასდროს) მიმდინარეობენ უწყვეტი პროცესის სახით და ყოველთვის ადგილი აქვს ე.წ. პაუზებს სამხედრო მოქმედებათა განვითარებაში. სწორედ ეს პაუზები წარმოადგენენ იმ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ზომიერმყოფელ ფაქტორს, რომელიც ანელებს ძალების უკიდურესი დაძაბვის ტენდენციას და ე.ი. რომლის შედეგადაც ომი კარგავს უკიდურესი დაპირისპირების ხასიათს - აღნიშნავს კლაუზევიცი.

წმინდა ლოგიკური ანალიზის განზომილებაში ჩვენ ვიაზრებთ ერთი მხარის მხედართმთავრის ინტერესს, როგორც სიდიდეს, რომელიც აბსოლუტურად საპირისპიროა მეორის ინტერესისა, და მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც ვდგავართ პოლარიზაციის(უკიდურესი დაპირისპირების) პრინციპის ნიადაგზე; სახელდობრ, ამ პრინციპის შესაბამისად თითოეული მხარის მიზანია მოწინააღდეგის შემუსვრა და მისი ნების საბოლოო გატეხვა: ესაა ორი აბსოლუტურად ურთიერთსაპირისპირო ვექტორი. მაგრამ რეალობაში ამ მხრივაც საქმის ვითარება სხვაგვარადაა: კერძოდ, სამხედრო მოქმედებები თავს ავლენენ ორი ფორმით: შეტევა და თავდაცვა, რომლებიც თავისი ბუნებით უაღრესად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. სწორედ ამ ორი ფორმის ჭრილში ზემოთ აღნიშნული ინტერესთა პოლარიზაცია კარგავს რეალურ დატვირთვას და მნიშვნელობას: ჩვენ ვეღარ ვიტყვით, რომ ორივე მხედართმთავრის ინტერესი მდგომარეობს მოწინააღმდეგის საბოლოო შემუსვრაში,

ვინაიდან თავდაცვის მიზანი სხვაა. ამასთან ერთად, შეტევის და თავდაცვის ფორმების თანაარსებობა თავის მხრივ განაპირობებს აუცილებელ პაუზებს სამხედრო მოქმედებებში: მაგალითად, ერთი მხარისთვის უფრო ხელსაყრელია ამჯერად თავდაცვა და სათანადო მომენტის დალოდება; ან კიდევ მეორე მხარისთვის უფრო ხელსაყრელია შეტევითი ოპერაციის გადადება უკეთესი მომენტისათვის მოწინააღმდეგის კარგი თავდაცვითი პოზიციების გამო - აი, ეს და კიდევ მრავალი სხვა ვითარება განაპირობებს აუცილებელ პაუზებს ომის მსვლელობისას.

და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც ხელს უწყობს სამხედრო მოქმედებათა შეფერხებას - ესაა შექმნილი გარემოების არასაკმარისი ცოდნა, რასაც მეტ-ნაკლებად ყოველთვის აქვს ადგილი რეალობაში. მხედართმთავარი არასდროს არ ფლობს აბსოლუტურად სრულფასოვან ინფორმაციას მოწინააღმდგე მხარეზე და არსებულ ობიექტურ სიტუაციაზე, რაც ხშირად განაპირობებს თავშეკავებას სამხედრო ოპერაციებისაგან და შესაბამისად, დაძაბულობის შენელებას - გვეუბნება დიდი გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი.

ამგვარად, ასეთი გაწელილი რეალური საომარი პროცესი ყოველთვის დამოკიდებულია შექმნილი გარემოების ალბათურ შეფასებაზე, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარეთა ინფორმირებულობა არასდროსაა აბსოლუტურად სრულყოფილი. აქედან გამომდინარე, რეალური ომი, კლაუზევიცის მტკიცებით, გარკვეულწილად დადის **შანსების გათვლამდე**, კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარეთა მიერ საკუთარი და ერთმანეთის შანსების გათვლამდე. ამას ემატება კიდევ ერთი ელემენტი - **შემთხვევითობა**. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანური მოღვაწეობის არცერთ სხვა სხვა სახეობას არა აქვს ისეთი ყოვლისმომცველი და ხშირი შეხება შემთხვევასთან, როგორც ომს. შანსების და შემთხვევითობის ელემენტები განეკუთვნებიან ომის რეალურ ობიექტურ ბუნებას. მაგრამ მეორე მხრივ, მის სუბიექტურ ბუნებას განეკუთვნება ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორიცაა **ვაჟკაცობა** (**ანუ რისკის გაწევის უნარი**), ვინაიდან სტიქია, რომელშიც მიმდინარეობენ ადამიანური საომარი ქმედებანი - ესაა საფრთხე. დიახ, სიმამაცე, საკუთარი იღბალის რწმენა, გაბედულება - ვაჟკაცობის გამოვლინებებია, რომელიც მუდამ ეძებს შეუცნობელ რისკს, ვინაიდან აქაა მისი სტიქია - წერს ავტორი. და ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, იგი აკეთებს უნიკალურ დასკვნას: ეს ობიექტური და სუბიექტური მახასიათებლები - შანსები, შემთხვევა და რისკის გაწევის უნარი - წარმოაჩენენ ომს, როგორც **თამაშის**, განსაკუთრებულ სახეობას; ასე იხსნება ჩვენს წინაშე ომის ფენომენის ირაციონალური მომენტი. სამხედრო თეორიას და ხელოვნებას ყოველთვის საქმე აქვს ცოცხალ ადამიანებთან და მათ შინაგან რესურსებთან, ამიტომაც მშრალი განსჯის, ანალიზის და ლოგიკური დასკვნების გვერდით ომის სამფლობელოში ყოველთვის რჩება ეს ირაციონალური სფერო, სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სიმამაცე, გაბედულება, საკუთარი ძალების რწმენა, რაც ამ თეორიამ და ხელოვნებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. დიახ, ესაა არა ცივი განსჯის, არამედ ადამიანური **სულის** (Geist, Spirit, Дух) მშობლიური სტიქია, ვინაიდან **სული** არასდროს არ მოძრაობს მხოლოდ განსჯასთან ერთად მშრალი ანალიზის და მკაცრი არგუმენტაციის ვიწრო ბილიკით; მას იზიდავს შეუცნობელი, სადაც მეფობს შემთხვევა, შანსი, იღბალი, საფრთხე. არა მწირი ლოგიკური აუცილებლობის, არამედ მრავალფეროვანი შესაძლებლობების, შანსების და რისკის სამეფოში ქროლვას ამჯობინებს იგი. და აქ მას სჭირდება ისეთი თვისებები, როგორიცაა რისკი გაწევის უნარი, გაბედულება, საკუთარი იღბალის რწმენა, ფანტაზია, იმპროვიზაციის უნარი - აი, ამას გვეუბნება კლაუზევიცი თავისი შთამბეჭდავი მხატვრულ-ლიტერატურული სტილის მქონე ტექსტით.

მაგრამ ახლახან განხილული მახასიათებელი მხოლოდ ერთი მომენტია, ერთი ასპექტია ომის ფენომენის. როგორც აღნიშნავს ავტორი, ომი არაა გართობა; იგი არაა უბრალოდ თამაში საკუთარი რისკით და საკუთარი იღბალის იმედზე; იგი არაა უბრალოდ სულიერი შთაგონების და შემოქმედების სტიქია. იგი პოლიტიკური აქტია. საომარი კონფლიქტი ხალხთა შორის და მით უმეტეს, ცივილიზებულ ხალხთა შორის ყოველთვის გამომდინარეობს გარკვეული პოლიტიკური (შიდა და საერთაშორისო) მდგომარეობიდან და განპირობებულია პოლიტიკური მოტივებით. სწორედ პოლიტიკური მიზანი წარმოადგენს მთავარ ამოსავალ მოცემულობას ომის წარმოებისა, რაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა იქნას გათვალისწინებული სამხედრო მოქმედებათა ხელმძღვანელობისას. მაგრამ ომი არა უბრალოდ პოლიტიკური აქტია, არამედ პოლიტიკის ნამდვილი იარაღი: **იგი პოლიტიკის გაგრძელებაა, ოღონდ სხვა საშუალებებით** - აი, ესაა კლაუზევიცის კონცეფციის საყოველთაოდ ცნობილი ერთ-ერთი ცენტრალური დებულება. ამიტომაც ეს ფენომენი, როგორც პოლიტიკური აქტი და პოლიტიკის გაგრძელება, განეკუთვნება ,,ცივი" განსჯის სფეროს: იგი გვევლინება მკაცრი რაციონალური გათვლებისა და ქმედებების რთულ პროცესად და სწორედ ესაა მაინც მისი განმსაზღვრელი მომენტი თუ ასპექტი.

ავტორის ეს მსჯელობები კარგად გვიჩვენებენ, თუ რაოდენ გამსჭვალულია მისი აზროვნების წესი გერმანული კლასიკური ფილოსოფიის, განსაკუთრებით კი შელინგის და ჰეგელის მეთოდოლოგიური პრინციპებითა და ცნებითი აპარატით. ომის რელური ბუნების განხილვაც ხომ დიალექტიკურ ხასიათს

ატარებს: იგი ნათელყოფს ჯერ ერთ მომენტს, შემდეგ გადადის სრულიად საპირისპიროზე, რათა ეს მოვლენა განსხვავებულ მომენტთა მთლიანობად წარმოგვიჩინოს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კეთდება შემდეგი დასკვნა: ომი გვევლინება სამი არსებითი ელემენტის დიალექტიკურ მთლიანობად - პირველი, ესაა, **ძალადობა**, რაც თავის თავში გულისხმობს სიძულვილის, მტრობის, აგრესიის იმპულსებს და რაც განეკუთვნება ბრმა ბუნებრივი ინსტიქტის სფეროს; მეორე, ესაა, ალბათობების და შემთხვევითობების **თამაში**, რაც განეკუთვნება თავისუფალი სულიერი მოღვაწეობის სფეროს; და მესამე, ესაა, **პოლიტიკის იარაღი**, რაც განეკუთვნება წმინდა განსჯის სფეროს. თეორია, რომელიც უგულებელყოფს რომელიმეს ამ სამთაგან, ან კიდევ შეეცდება წარმოგვიდგინოს მათი თვითნებური (არაობიექტური) ურთიერთთანაფარდობა, უთუოდ, მოვა წინააღმდეგობაში ობიექტურ სინამდვილესთან. ამგვარად, მისი ამოცანაა განსაზღვროს და შეინარჩუნოს ობიექტური წონასწორობა (ბალანსი) ამ სამ მომენტს შორის.

მოდით, ახლა გარკვეულწილად შევაჯამოთ კლაუზევიცის ამ ბრწყინვალე ნაშრომში წარმოდგენილი ზოგად-ფილოსოფიური განხილვების ეს ნაწილი. როგორც ვხედავთ, აქ წარმოებს ომის ფენომენის ანალიზი ორ განსხვავებულ განზომილებაში: წმინდა ლოგიკურ და რეალური სინამდვილის განზომილებებში. კერძოდ, ავტორი ჯერ აანალიზებს ომის განყენებულ ცნებას და ე.ი. გვიჩვენებს, თუ რა არის მისი არსი თავისთავად; შემდგომ კი, იგი გადადის ომის, როგორც რეალობის შემადგენელი ნაწილის, განხილვაზე: ამგვარად, ომის ბუნების სრულფასოვანი გააზრება მოითხოვს ორივე განზომილებაში წარმოებულ ანალიზს. სახელდობრ, წმინდა ლოგიკური ანალიზი ააშკარავებს ომის ისეთ არსებით მაკონსტიტუირებელ ელემენტს, როგორიცაა **ძალადობა**, რაც თავის თავში გულისხმობს აგრესიულ იმპულსთა მთელ სპექტრს; რეალური ანალიზი კი ცხადყოფს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა **თამაში** და **პოლიტიკის იარაღი**. ამასთან ერთად, ლოგიკური ანალიზის მიხედვით, ომის არსი მდგომარეობს მოწინააღმდეგის ნების გატეხვაში და განადგურებაში, ხოლო აქედან გამომდინარე, დაპირისპირებული მხარეები მიისწრაფვიან ძალების უკიდურესი დაძაბვისაკენ და პოლარიზაციისაკენ; რეალური ანალიზის მიხედვით კი, რეალური სინამდვილის მთელ რიგ ფაქტორებს აქვთ ზომიერმყოფელი (დამაბალანსებელი) ეფექტი, რაც განაპირობებს დაძაბულობის და პოლარიზაციის შენელებას. რაც უფრო მეტად გრანდიოზულია, ფართო-მასშტაბიანია პოლიტიკური მიზანი და რაც უფრო მეტად ჭარბობს აგრესიული იმპულსები, დაძაბულობა დაპირისპირებული ქვეყნების ხალხებში, მით უფრო ომი უახლოვდება თავის აბსტრაქტულ-ლოგიკურ ბუნებას ანუ თავის იდეას და იღებს **გამანადგურებელი** შეიარაღებული კონფლიქტის ხასიათს; და პირიქით, რაც უფრო ნაკლებ-მასშტაბურია პოლიტიკური მოტივი და რაც უფრო ნაკლებადაა სახეზე აგრესიული ტენდენციები, მით უფრო შორდება ომი თავის ლოგიკურ არსს და იღებს უფრო დაბალი ინტენსივობის ანუ **ნაკლებ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების** ხასიათს. აქედან კი გამომდინარეობს ომის სახეების მრავალფეროვანი სპექტრის არსებობა, დაწყებული უკიდურესად მაღალ-ინტენსიური და დამთავრებული უკიდურესად დაბალ-ინტენსიური სამხედრო მოქმედებების ფორმებით - აი, ამ დასკვნამდე მივყავართ ორ განსხვავებულ განზომილებაში წარმოებული ექსპლიკაციების ურთიერთშეჯერებას. ვფიქრობ, რომ კლაუზევიცის მიერ ჩატარებული ეს ბრწყინვალე ანალიზი ომის ფილოსოფიური ასპექტებისა დიდწილად წარუვალი ღირებულების მქონეა და კერძოდ, ზემოთ მითითებული შემაჯამებელი დასკვნები უთუოდ შეინარჩუნებენ თავის აქტუალობას, მნიშვნელობას, ძალას ნებისმიერ არეალსა და ეპოქაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- Carl von Clausewitz ,,Vom Kriege”
  clausewitz.com/readings/Vom Kriege 1832/Book1.htm
- Клаузевиц, Карл, фон ,,О Войне”
  http://militera.lib.ru/science/clausewitz/index.html